

მიმართვა ქართველი ერისადმი

რის ეროვნული მოძრაობიდან, ყოველნაირად ცდილობდა შეეშალა ხელი, ზოგიერთი პოლიტიკოსის კრიტიკისათვის, მხილებისათვის. ფაქტიურად ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი დივიდენდები მიეღოთ მათ და შეეარნათ „მემკვიდრეებს“.

გამოუცდელი, წრფელი სტუდენტების, მომავალი ჩვენი ინტელექტუალური ელიტის, საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება უზუნოა.

სამწუხაროდ აქცია ვერ მიიღო გაგრძელება, იმიტომ რომ ქართველი ხალხი მიხვდა, რომ არ შეიძლება მიხვიდე ისეთ ადგილას, სადაც აკრძალულია შევარდნაძის ყოფილ თანაგუნელთა კრიტიკა, სადაც სიტყვით გამოდიან შალვა რამიშვილი, გივი თარგამაძე, ლევან რამიშვილი, კობა დავითაშვილი, მიხეილ სააკაშვილი და სხვა ეროვნული ნიჭილისტები. და მეორეც, მიტინგს აკლდა შემდეგი აუცილებელი ლოზუნგები: 1. პოლიტიკიდან წავიდეს მთელი ხელისუფლება, და არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილი. 2. საქართველოდან გავიდეს რუსული არმია და ე.წ. სამშვიდობოები. 3. შეიქმნას ერთიანი ქართულ-კავკასიური შეიარაღებული ფორმირებები. 4. ჩატარდეს რეფერენდუმი

საქართველოში მონარქიის აღდგენასთან დაკავშირებით. 5. აიკრძალოს ტოტალიტარული რელიგიური სექტები. 6. შეწყდეს აბსურდული პროექტების დაფინანსება და დაიწყოს არმიის გაძლიერება, იმიტომ, რომ ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. 7. ვადაიდვას ვადამწყვეტი ნაბიჯები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და სხვა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ / თუ ქუჩაში გამოვალთ უნდა გამოვიდეთ მთელი ხელისუფლების კრიტიკით და არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილის. საქართველოს გაპარტახებაში დამნაშავეა ყველა მათგანი.

ხალხს არ უნდა ერთი ბოროტების მეორით შეცვლა, ხალხს არ უნდა ვაის გაეყაროს და უის შეეყაროს. ისინი უნდა წავიდნენ ყველანი.

ხელისუფლება ეკუთვნის ნაციონალურ მოძრაობას. ნაღდს, და არა ახლა რომ „იწყებენ“ ინტერნაციონალისტები.

ვაუმარჯოს ნაციონალისტურ საქართველოს.

ქართველ ნაციონალისტთა ერთობის მეთაური ბაიოზ (ბიზ) მამალაძე


წინასწარმეტყველება საქართველოზე

„ნაციონალისტი“ აქვეყნებს 2000 წლის ოქტომბრის №20 გაზეთ „ქართულ უნივერსიტეტში“ გამოქვეყნებულ მოხსენებას, რომელიც ხეება წინასწარმეტყველებას საქართველოს შესახებ. გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“ სამწუხაროდ მცირეტირაჟიანია, ეს წერილი კი ვფიქრობთ ყოველ ქართულ ოჯახში უნდა ინახებოდეს. „ნაციონალისტი“ მადლობას უხდის უნივერსიტეტის პრორექტორს ბატონ პარმენ მარგველაშვილს აღნიშნული გაზეთის ქუროსლის მოწოდებისათვის (მეტი შემორჩენილი არ იყო), გამომქვეყნებელს, ბატონ ფიროზ მეტრეველს და მთარგმნელს, მამა ბასილის (კობახიძეს), „ქართულ უნივერსიტეტს“ და ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო ამ მოხსენების გამოქვეყნებაში.

აგრეთვე მადლობას ვუხდით მეუფე იობს ამ წინასწარმეტყველების არსებობის შესახებ მითითებისათვის.

იხილეთ მ-2,3 გვერდები

ახალი ნაციონალური მოძრაობის „დაფუძის“ საკანონიერება



სათვის მძიმე წლებში იტანებოდნენ ამ ხელისუფლების მიერ სულიერად, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და არ მძაკვობდნენ ისეთ ადამიანებთან, რომელთაც ახლა კორუმპირებულებად აცხადებენ.

ნაციონალური მოძრაობისკენ მოწოდების უფლება აქვთ ისეთ პიროვნებებს, რომლებიც მუდამ ეროვნული პრიზმიდან ხედავენ ყველა პრობლემას და არა ათათასობით დოლარად შეფასებული სამთავრობო მანქანების ჩამუქებული პარტპრიზებიდან.

ნაციონალური მოძრაობისკენ მოწოდების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პიროვნებებს, ვინც საქართველოში 400000 თურქის ჩამოსახლების წინააღმდეგია და არა იმას, ვინც ევროსაბჭოში ხელი მოაწერა მათი ჩამოსახლების ვალდებულებას.

ნაციონალისტური მოძრაობისკენ მოწოდების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პიროვნებებს ვინც არასოდეს ყოფილა ამ ხელისუფლების ელიტაში.

ქართველ ნაციონალისტთა ერთობის წევრები 1991 წლიდან, ჩვენს ორგანიზაციის / საქართველოში პირველი ნაციონალისტური ორგანიზაციის დაარსების დღიდან, ცდილობდნენ ბილიკები გავუკვალათ ქართულ ნაციონალიზმს, დავამკვიდროთ იგი ჩვენს ქვეყანაში, განვამტკიცოთ, შევუქმნათ პროგრამა. რათა ნაციონალისტური პროგრამა იქცეს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების პროგრამად. სახელმწიფოსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქართველი ერის მარადიული არსებობა და მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა.

ამ გზაზე ერთ-ერთ უმთავრესს მიზნად ჩვენ დავისახეთ შეგვექმნა დღევანდელი ხელისუფლების, დღევანდელი ელიტის (სინამდვილეში კვაზი-ელიტის) ალტერნატივა, / კარდინალურად, ძირფესვიანად განსხვავებული, მისი საბირისპირო პოლუსი / ნაციონალისტური კონტრ-ელიტა. რომელიც მოამზადდეს იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საფუძვლებს და მომავალში დიდებს გზაზე გაიყვანს ჩვენს სამშობლოს. ნაციონალიზმი, რომლის ქართულ შესატყვისად ჩვენ შევივლით მართ-მრე-

ულო-ბა, ხომ ყველაზე ნაკლებად ვიწროპარტიული, პარტიკულარული, და ყველაზე მეტად სოციალურად სამართლიანი პოლიტიკური მოძრაობაა, მიმართულა. ამასთან, ნაციონალიზმი (მართმრეულობა) ყველაზე მეტად ელიტარული იდეოლოგიაა.

კონტრ-ელიტის შემოკრებაში ბევრი რამ შევიქმნით (ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც თვალს მიაღწევს „ნაციონალისტს“, გამოცემებს). თუმცა, უფრო მეტი, გაცილებით მეტი, გასაკეთებელია. უფრო მეტი ნიჭიერი ქართველია მოსაზრები ნაციონალისტურ კონტრ-ელიტაში. რამეთუ ქართველი ერთ თავად ელიტარული ნაციაა, ქართველი ერთი ნაციაა ელიტა.

უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა: ქართველი ერთი დღევანდელი მსოფლიო გლობალური პოლიტიკური ელიტის (სინამდვილეში კვაზი-ელიტის) კონტრ-ელიტაა.

ოცდამეერთე საუკუნე ცივილიზაციათა ჭიდილის საუკუნე იქნება.

დღევანდელი ე.წ. წამყვანი ქვეყნების ცივილიზაციები (რუსეთი, აშშ) მათი მთავრობები, მათი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ყველამ კარგად იცის, უზნეობით, უსამართლობით, უვიციობით, უღმერთობით გამოირჩევიან.

ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის მიზანია მსოფლიო ერთ უსაზღვრებო სახელმწიფოდ, ხოლო სხვადასხვა ერები ერთ ხალხად აქციოს, პლანეტაზე ძალით დაამყაროს გლობალისტური მოდელის ცივილიზაცია, სადაც მილიარდობები იქნებიან ადამიანთა ქონების, სამუშაოს, ერთა მიწა-წყლის განმკარგავნი, სადაც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები იქნებიან „ზნეობის“ კრიტერიუმების დამდგენნი, სადაც მეგობარს, მძაკეს შეცვლის ფსიქოთერაპევტი, სადაც მშობლების, დედამისშვილების, შეილები სიყვარულისთვის და მათზე ზრუნვისთვის დრო არ იქნება, სადაც დედსარწმუნოებასთან მებრძოლი სექტები გამოათავყვანებენ ახალ თაობებს, / ასეთი მსოფლიო წესრიგი ჩვენთვის, ქართველთათვის მიუღებელია.

ჩვენ გვაქვს ჩვენი ცივილიზაცია / დახვეწი-

ლი, ზნეობრივი, კულტურული, ღვთაებრივი. იგი უძველესი წარმომავლობისაა და საუკუნეებს გადასწვდება. იგი ნიჭიერების შექმნილია და ნიჭიერები გაუკვალავენ გზას კვლავ, შექმნიან მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, თვალისჩინივით მოუვლიან მომავალ თაობებს, შეურყვენლად დაიცვენ პირველად ტრადიციებს და ადამიანის ღირსებას.

ცივილიზაციათა მსოფლიო ჭიდილში ქართველი ერთი მარტო არ იქნება. ამ ბრძოლაში ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები არიან ევროპისა და აზიის ტრადიციული ერები. რომელთაც არ სურთ მსოფლიო ერთსახოვან მასაში გათქვეფვა და მიზნად აქვთ დასახული საკუთარი თვითმყოფადი ცივილიზაციების შენარჩუნება.

ქართული ცივილიზაციის დაცვის, აღდგენის და განმტკიცების გზაზე დიდ იმედებს ვამყარებთ „ნაციონალისტზე“. იგი უნდა იქცეს შემომკრებ საშუალებად იმ ქართველებისა, ვისაც დიდი ოცნებები, უფრო სწორად დიდი გეგმები აქვთ საქართველოსათვის.

გამოცემა არაპერიოდულია. ე.ი. გამოცემით როცა შევძლებთ (აუცილებლად გამოვცემთ). ამ ნომერში გთავაზობთ აქტუალურ თეზისებს. შემდგომ ამ შემოთავაზებულ თეზისებზე ვიმსჯელოთ.

დიახ, ვიმსჯელოთ, ერთად ვიმსჯელოთ. მოგწერეთ (თბილისი, 380059 გ. მამალაძისათვის), დაგვიკავშირდით, გამოთქვით თქვენი პოზიცია. ერთად განვიხილოთ იგი და ერთად შევუწყობთ ხელი საქართველოს გაძლიერებას. დიდი საქართველოს შექმნას.

ნაციონალისტი

